24/12/2024

MES 1 24 0001651098

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

დავით მალაზონია - შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;
თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის „თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმებისთვის“ სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.
მანანა ჯინჭარაძე - სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორთა ეროვნული სკოლის კონსულტანტი, საბჭოს მდივანი;
გიორგი გიგიბერია - ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის“ პროგრამების მენეჯერი, საბჭოს წევრი;
ქეთევან ნატროშვილი - შპს „ქართული სასწავლებლის - თბილისის“ დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი;
პეტრე ბაბილუა - შპს „ევროპული სკოლის“ მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
მაკა მამფორია - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის“ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
მორის დანდურიშვილი - სსიპ-ქალაქ ხაშურის N1 საჯარო სკოლის დირექტორი, საბჭოს წევრი;
ნატო გაბოშვილი - სსიპ - ქალაქ თბილისი N169 საჯარო სკოლის დირექტორი, საბჭოს წევრი;
შალვა მეკრავიშვილი - სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ქ. რუსთავის N2 საჯარო სკოლის ისტორიისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებელი, სსიპ-მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის სამოქალაქო განათლების ექსპერტი, საბჭოს წევრი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

თეა ლილუაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
თამარ ბიბილაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;

ელენე ცირამუა - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
ნინო ცხოვრებაძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
ქეთი მუთიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

სსიპ - ქალაქ ქუთაისის N17 საჯარო სკოლა:
გიორგი ოსაძე- სკოლის დირექტორი

სსიპ - ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაქალაქევის საჯარო სკოლა:
გიორგი კაველიძე - სკოლის დირექტორი

სსიპ - ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ლაილაშის საჯარო სკოლა:
ალექსანდრე გიორგობიანი - სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

სსიპ - მიხეილ ხერგიანის სახელობის დაბა მესტიის №2 საჯარო სკოლა:
ნატო გვარლიანი - სკოლის დირექტორი

სსიპ - მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბიწმენდის საჯარო სკოლა:
ნინელი მამულაშვილი - სკოლის დირექტორი

სსიპ- ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ვაშლოვანის საჯარო სკოლა:
მარიკა აბულაძე - სკოლის დირექტორი

სსიპ - თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ღულელების საჯარო სკოლა:
თინა ზარიძე - სკოლის დირექტორი

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში ექსპერტები):

სსიპ - ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ლაილაშის საჯარო სკოლა:

ა) ირინა დვალი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) გოგი თოდუა (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ეთერი ბროლაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ნიკოლოზ გურგენიძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) თამთა კამკამიძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) მარიამი ჩიკვაიძე-კეჭაყმაძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ტოლია კილასონია (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) მზია შევარდნაძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ნანა ცინცაძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ალექსანდრე ლაცაბიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ლ) ნინო ჯოჯიშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - მიხეილ ხერგიანის სახელობის დაბა მესტიის №2 საჯარო სკოლა:

ა) ნათია ბრეგაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) თამარ ხეჩიკაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) მარინე კუჭუხიძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ნონა ხომასურიძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ნათელა ბასილია (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ნინო ბერიშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ინგა ცერცვაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ილონა აკობია (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ნონა გორგილაძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) გიორგი ბერიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ეკატერინე კვირკველია (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბიწმენდის საჯარო სკოლა:

ა) ნინო მუმლაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ეკატერინე ხუციშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ხათუნა გეგეშიძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) მარიამ ლეკიაშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ვალერიანე ვოლჩანსკი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ნინო ბერიშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ლილი კაცაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) მარიამ ფერიაშვილი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ლელა ფანოზიშვილი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) თამარ ზედგენიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ვერა სომხიშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ- ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ვაშლოვანის საჯარო სკოლა:

ა) ლენა გომართელი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ია ღლონტი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) თამარ ბერიძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) თამარ შალვაშვილი(საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) სოფიო დუმბაძე(უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ)მადონა ბობოხიძე(ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ნანა ნოზაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ)ლელა გაბისონია(სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) გოჩა შუბითიძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) მურად ფახურიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ)ნინო მახარაშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ღულელების საჯარო სკოლა:

ა) მაია ლაპიაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ნანა ვარდმანიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ლარისა ჯაფარიძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ნონა ხომასურიძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ანა კოკოჩაშვილი - ახვლედიანი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) მარიკა ბოცვაძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ინგა კაჭარავა (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი,, წევრი);
თ) მარინე კვარაცხელია (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ნინო გორგილაძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) გიორგი კოპლატაძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) მე-17 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია. საბჭოს სხდომა 2024 წლის 13 დეკემბერს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom - ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 16:00 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების მე-20 მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. სსიპ - ქალაქ ქუთაისის N17 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;
2. სსიპ - ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაქალაქევის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;
3. სსიპ - ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ლაილაშის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - მიხეილ ხერგიანის სახელობის დაბა მესტიის №2 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

5. სსიპ - მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბიწმენდის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
6. სსიპ- ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ვაშლოვანის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
7. სსიპ - თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ღულელების საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი და შესაბამისად, დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1. სსიპ - ქალაქ ქუთაისის N17 საჯარო სკოლის მიერზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა

ცენტრის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სსიპ - ქალაქ ქუთაისის N17 საჯარო სკოლას, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2023 წლის 22 სექტემბრის N1217082 ოქმის მე-3 ნაწილის საფუძველზე, განესაზღვრა რეკომენდაცია 2024 სექტემბრიდან ცენტრში წარმოედგინა ცენტრში წარმოედგინა შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნა და 2.2 კომპონენტის შესაბამისი დოკუმენტაცია, კერძოდ, ვერიფიკაციის მექანიზმის ამსახველი დოკუმენტი.
დაწესებულებამ წარმოადგინა ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული დასკვნა შენობის მდგრადობის შესახებ, რომლის მიხედვითაც სსიპ - ქალაქ ქუთაისის N17 საჯარო სკოლის შენობის მდგრადობა დამაკმაყოფილებელია და სკოლის შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი.
აღნიშნული დოკუმენტები შემდგომი განხილვის მიზნით, მიეწოდა ავტორიზაციის საბჭოს.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები დაწესებულების წარმომადგენლებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭომ ცნობად მიიღო, სსიპ - ქალაქ ქუთაისის N17 საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ.

2. სსიპ - ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაქალაქევის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა

ცენტრის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სსიპ - ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაქალაქევის საჯარო სკოლას, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2023 წლის 18 დეკემბრის N1726564 ოქმის მე-2 ნაწილის საფუძველზე, განესაზღვრა რეკომენდაცია 2024 დეკემბრამდე ცენტრში წარმოედგინა შესაბამის ორგანოსთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში გამწოვის დამონტაჟების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.
დაწესებულებამ 2024 წლის 29 ნოემბერს წარმოადგინა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმებული, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში გამწოვის დამონტაჟების დამადასტურებელი ფოტო მასალა. აღნიშნული დოკუმენტები შემდგომი განხილვის მიზნით, მიეწოდა ავტორიზაციის საბჭოს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები დაწესებულების წარმომადგენლებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭომ ცნობად მიიღო, სსიპ - ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაქალაქევის საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ.

3. სსიპ - ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ლაილაშის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ირინა დვალმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ლაილაშის საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 27 და 28 სექტემბერს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 90. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 90 მოსწავლისთვის.
ექსპერტის თქმით, დაწესებულება დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებდა ორ მისამართზე, ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ლაილაშში და ამავე მუნიციპალიტეტის სოფელ სურმუშში.
ექსპერტმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო გამოცდილების შესახებ და აღნიშნა, რომ დაწესებულება ხელს უწყობდა პერსონალის კარიერულ ზრდას, სკოლის ბუღალტერმა გაიარა ფინანსთა სამინისტროს აკადემიის ტრენინგ კურსი „ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პრინციპები საჯარო სკოლებში“; ბიბლიოთეკარმა კი აიმაღლა კვალიფიკაცია საბიბლიოთეკო ასოციაციის მიერ ორგანიზებულ ტრენინგში. სკოლა მონაწილეობას იღებდა სხვადასხვა ღონისძიებაში, რიგ შემთხვევაში კი თავადაც მასპინძლობდა სხვა სკოლის მოსწავლეებს, ასევე, სკოლის მოსწავლეებს ჰქონდათ მრავალი წარმატება სხვადასხვა ოლიმპიადასა და სპორტულ ღონისძიებაში.
ექსპერტმა წარმოადგინა სკოლის ინფრასტრუქტურის ამსახველი ფოტომასალა და აღნიშნა, რომ სოფელ ლაილაშისა და სოფელ სურმუშის სკოლებში შექმნილი იყო კეთილმოწყობილი გარემო. სოფელ ლაილაშის სკოლა იყო სრულად ადაპტირებული, ჰქონდა უსაფრთხო სკოლის მენეჯერის ოთახი, გარე სპორტული მოედანი და შიდა სპორტული დარბაზი, კომპიუტერული მეცნიერებების ლაბორატორია, სამედიცინო კუთხე, ბიბლიოთეკა, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია.

სოფელ სურმუშში მდებარე შენობას, ექსპერტის თქმით, არ ჰქონდა ადაპტირებული შესასვლელი და სველი წერტილი.
ექსპერტმა, ირინა დვალმა, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტი შეფასდა „მეტწილი“ შესაბამისობით.
ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ, გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, თამარ მამსიკაშვილი, დაინტერესდა, რამდენად აქცევდა ყურადღებას სკოლა მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას და მიმართა ექსპერტებს, კურიკულუმებთან დაკავშირებით მეტი დეტალი გაეცნოთ საბჭოსთვის.
სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის, ალექსანდრე გიორგობიანის, განმარტებით, მასწავლებლები მუდმივად ესწრებოდნენ სხვადასხვა ტრენინგ კურსს და მუდმივად ინერგებოდა სიახლეები სწავლების პროცესში. ბუღალტერსა და ბიბლიოთეკარს, საჭიროებიდან გამომდინარე, გავლილი ჰქონდათ კურსები.
უცხოური ენების ექსპერტის, თამთა კამკამიძის, განმარტებით, შეფასების სისტემას ესაჭიროებოდა მეტად დაკონკრეტება, სხვა მხრივ კი, კურიკულუმები იყო გამართული, ასახული იყო კომპლექსური და პროექტული დავალებები.
საბჭოს წევრმა, მაკა მამფორიამ, აღნიშნა, რომ ბიოლოგიის შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ფორმები იყო ბუნდოვანი და მიმართა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ექსპერტს, ამ საკითხთან დაკავშირებით მეტი დეტალი გაეცნო საბჭოსთვის. აქვე, სკოლის წარმომადგენელს მისცა რჩევა, განმსაზღვრელ შეფასების რუბრიკაში აესახათ ინფორმაცია, იმის შესახებ, თუ რა შემთხვევაში რა ქულას მიიღებდა მოსწავლე.
საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ექსპერტის, ეთერ ბროლაძის, განმარტებით, მასწავლებლებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ დაწესებულება არ იყო ჩართული ახალი სკოლის მოდელში, მისი თქმით, ექსპერტებმა გასცეს გარკვეული რჩევები და რეკომენდაციები, რომლის გათვალისწინებისთვისაც სრული მზაობა ჰქონდათ სკოლის წარმომადგენლებს.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საზოგადოებრივი მეცნიერებების ექსპერტს დაეზუსტებინა, მე-9 კლასის ისტორიის შემაჯამებელი დავალებები იყო თუ არა მხოლოდ ტესტური ხასიათის.
საზოგადოებრივი მეცნიერებების ექსპერტის, ნიკოლოზ გურგენიძის, განმარტებით, პირველადი ვიზიტის დროს გამოიკვეთა გარკვეული ხარვეზები და ექსპერტებმა სკოლის წარმომადგენლებს მისცეს რეკომენდაციები, რათა აღმოეფხვრათ აღნიშნული. მისი თქმით, მასწავლებლებმა გამოთქვეს სრული მზაობა და ავტორიზაციის პროცესში დაიხვეწა გარკვეული საკითხები. მან განმარტა, რომ თავდაპირველად შემაჯამებელი დავალებების შეფასების კრიტერიუმებს ესაჭიროებოდა მნიშვნელოვანი მუშაობა, ხოლო, ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან გაცემული რჩევების შემდგომ, წარდგენილ იქნა განახლებული და დახვეწილი დოკუმენტაცია. მისი თქმით, მე-9 კლასის ისტორიის შემაჯამებელი დავალებები არ იყო მხოლოდ ტესტური ხასიათის.
საბჭოს წევრი, მორის დანდურიშვილი, დაინტერესდა, ჰყავდა თუ არა ყველა საგნის მასწავლებელი სოფელ სურმუშში არსებულ დაწესებულებაში და რა მანძილზე მდებარეობდა კონკურენტი სკოლა.

სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის, ალექსანდრე გიორგობიანის, განმარტებით, სოფელ სურმუშის დაწყებითი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლობდა ერთი მეორე და ერთი მესამე კლასის მოსწავლე და მათ კლასკომპლექტის სახით უტარდებოდათ გაკვეთილები. სკოლას ჰყავდა ორი მასწავლებელი. სკოლის წარმომადგენლის განმარტებით, კონკურენტი სკოლა მდებარეობდა 7-8 კილომეტრის დაშორებით. სოფელ სურმუშის შენობის ადაპტირებასთან დაკავშირებით კი აღნიშნა, რომ ვინაიდან, დაწესებულებას არ ჰყავდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლე, ფინანსები მიმართეს სხვა ინფრასტრუქტურის საკითხების განვითარებისთვის, თუმცა, სამომავლოდ აპირებდნენ პანდუსის მოწყობას.
საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია, დაინტერესდა, რა ნაბიჯები გადადგა სკოლამ და რას აპირებდა სამომავლოდ მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისთვის.
სკოლის წარმომადგენელმა, ალექსანდრე გიორგობიანმა, განმარტა, მასწავლებელთა საჭიროებების გამოკვეთის შემდეგ აპირებდნენ ტრენერის მოწვევას, რომელიც ხელს შეუწყობდა მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას.
საბჭოს წევრი, ქეთევან ნატროშვილი, დაინტერესდა, ჰქონდა თუ არა სკოლას სტრატეგიულ გეგმაში გაწერილი, რომ აპირებდა მასწავლებელთა გადამზადებას და აპირებდა თუ არა მასწავლებლის სახლთან კოორდინაციას ამ მიმართულებით.
სკოლის წარმომადგენელმა, განმარტა, რომ სტრატეგიულ გეგმაში ამჟამად გაწერილი ჰქონდა, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მასწავლებელთა გადამზადება და აპირებდნენ მასწავლებელთა სახლთან თანამშრომლობას.
საბჭოს წევრმა, ქეთევან ნატროშვილმა, სკოლის წარმომადგენელს მისცა რჩევა, რომ გადაემზადებინათ ყველა საგნის მასწავლებელი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ლაილაშის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 90 - ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 16:33
დასრულების დრო - 16:40

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებისა და 27 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ლაილაშის საჯარო სკოლას (ს/კ: 242576039) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების

ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 90 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ცაგერის მუნიციპალიტეტი სოფელი ლაილაში; ცაგერის მუნიციპალიტეტი სოფელი სურმუში.
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ცაგერის მუნიციპალიტეტი სოფელი ლაილაში
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ცაგერის მუნიციპალიტეტი სოფელი ლაილაში

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებას თან დაკავშირებით:

- **მონიტორინგი ცენტრის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებისგანხილვით**

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა 2025 წლის დეკემბერში 3.5 კომპონენტთან მიმართებით, სოფელ სურმუშის შენობაში ადაპტირებული გარემოს შექმნის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

4. სსიპ - მიხეილ ხერგიანის სახელობის დაბა მესტიის №2 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ნათია ბრეგაძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - მიხეილ ხერგიანის სახელობის დაბა მესტიის №2 საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 26 და 27 სექტემბერს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 170. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 170 მოსწავლისთვის.
ექსპერტმა, ნათია ბრეგაძემ, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) სტანდარტი შეფასდა „მეტწილად“, ხოლო მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტი შეფასდა „ნაწილობრივი“ შესაბამისობით.
ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ, გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრი, მორის დანდურიშვილი, დაინტერესდა, რა იყო მიზეზი იმისა, რომ სკოლის ვებ-გვერდზე არ იყო წარმოდგენილი სრულყოფილი ინფორმაცია.
სკოლის დირექტორმა, ნატო გვარლიანმა, აღნიშნა, რომ ელოდნენ ერთწლიანი და შვიდწლიანი სამოქმედო გეგმის დამტკიცებას და შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში სრულად ასახავდნენ ინფორმაციას ვებ-გვერდზე.
საბჭოს წევრმა, მაკა მამფორიამ, აღნიშნა, რომ სკოლის მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებაში მითითებული იყო, რომ დაწესებულება აპირებდა სასწავლო პროცესის მონიტორინგისა და შეფასების დაწყებას და დაინტერესდა, დაიწყო თუ არა სკოლამ აღნიშნული პროცესი.
სკოლის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულებამ დაიწყო მუშაობა ამ მიმართულებით, ჩამოაყალიბეს სამუშაო ჯგუფი და ესწრებოდნენ საგაკვეთილო პროცესს. აქვე, დასძინა, რომ გავლილი ჰქონდათ USAID საბაზისო განათლების პროექტი, ასევე, ჩართული იყვნენ ახალი სკოლის მოდელში და მასწავლებლებს ჰქონდათ სრული კომპეტენცია, მონიტორინგის ფორმის ჩამოსაყალიბებლად. მისი თქმით, მასწავლებლები აქტიურად მუშაობდნენ სკოლის განვითარებისთვის, თუმცა, დოკუმენტურად სრულად არ იყო აღნიშნული მოცემული.
აქვე, საბჭოს წევრი, მაკა მამფორია, დაინტერესდა, ჰქონდა თუ არა სკოლას სადიაგნოსტიკო ტესტების გამოყენების გამოცდილება.
სკოლის დირექტორმა, ნატო გვარლიანმა, განმარტა, რომ სადიაგნოსტიკო წერები გამოიყენებოდა სემესტრის დასაწყისში და შუა სემესტრში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - მიხეილ ხერგიანის სახელობის დაბა მესტიის №2 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 170 - ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 16:55
დასრულების დრო - 17:03

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებისა და 27 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - მიხეილ ხერგიანის სახელობის დაბა მესტიის №2 საჯარო სკოლას (ს/კ: 235894458) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 170 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	დაბა მესტია, დ. აღმაშენებლის ქუჩა N 25
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	დაბა მესტია, დ. აღმაშენებლის ქუჩა N 25
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	დაბა მესტია, დ. აღმაშენებლის ქუჩა N 25

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებას თან დაკავშირებით:

- **მონიტორინგი ექსპერტთა ჯგუფის შექმნით:**

მონიტორინგის დაწყების პერიოდი - 2025 წლის დეკემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა - ექსპერტთა ჯგუფის მიერ დოკუმენტაციის შესწავლა;
მონიტორინგის ფარგლები: პირველი სტანდარტის 1.2 კომპონენტი და მე-2 (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) სტანდარტი.

- **მონიტორინგი ცენტრის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებისგანხილვით**

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა 2026 წლის დეკემბერში 3.1, 3.2, 3.5 და 3.6 კომპონენტებთან მიმართებით „სქესობრივი თავისუფლების და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ საქართველოს მთავრობის N463 დადგენილი „უფლების ჩამორთმევის შესახებ“ ცნობების, პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმების; უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოებისა და უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნების; პანდუსის/ლიფტის, ადაპტირებული სველი წერტილის მოწყობის, სკოლის ვებ-გვერდზე სტანდარტით გათვალისწინებული ინფორმაციის განთავსების დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

5. სსიპ - მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბიწმენდის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ნინო მუმლაძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბიწმენდის საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 29 და 30 აგვისტოს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი და საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 150. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 150 მოსწავლისთვის.
ექსპერტმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო გამოცდილებაზე და აღნიშნა, რომ დაწესებულება გამოირჩეოდა თანამშრომელების გუნდური მუშაობით. სასკოლო საზოგადოება გამოირჩეოდა მაღალი მოტივაციით და სკოლის პედაგოგები მზად იყვნენ პროფესიული წინსვლისა და განვითარებისთვის. მისი თქმით, 2021-2022 სასწავლი წელს, მოძველებული სკოლის შენობის

ადგილზე აშენდა ახალი, თანამედროვე სტანდარტით გათვალისწინებული სკოლა. გარდა სოფელ ბიწმენდში მცხოვრები მოსწავლეებისა, სკოლაში სწავლობდნენ სოფელ ჯიღაურაში, ახალსოფლელსა და ახტანაში მცხოვრები მოსწავლეები, რომელთა გადაადგილებასაც უზრუნველყოფდა სპეციალურად გამოყოფილი ტრანსპორტი. ასევე, სკოლაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა არაფორმალურ განათლებას.
ექსპერტმა წარმოადგინა სკოლის ინფრასტრუქტურის ამსახველი ფოტომასალა და აღნიშნა, რომ შექმნილი იყო კეთილმოწყობილი და ადაპტირებული სასწავლო გარემო. დაწესებულებას ჰქონდა ლიფტი, ადაპტირებული სველი წერტილი, ხანძარსაწინააღმდეგო სისტემა, კომპიუტერული და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიები, სამედიცინო ოთახი, გარე სპორტული მოედანი და ბიბლიოთეკა. ექსპერტის თქმით, დაწესებულებას არ ჰქონდა შიდა სპორტული დარბაზი და სააქტო ოთახი, თუმცა, ამ მიზნით გამოყოფილი ჰქონდა ცალკე ოთახი.
ექსპერტმა, ნინო მუმლაძემ, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია); მე-2 (დაწყებითი საფეხურის ზოგასაგანმანათლებლო პროგრამა) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა) და მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა ”მეტწილად“.
ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ, გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბიწმენდის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 150 - ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 17:20
დასრულების დრო - 17:27

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებისა და 27 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბიწმენდის საჯარო სკოლას (ს/კ: 236087694) 9 წლის ვადით

მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 150 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	მცხეთა, სოფელი ბიწმენდი,1 ქუჩა 1 ჩიხი N1
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	მცხეთა, სოფელი ბიწმენდი,1 ქუჩა 1 ჩიხი N1

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებას თან დაკავშირებით:

- **მონიტორინგი ექსპერტთა ჯგუფის შექმნით:**

მონიტორინგის დაწყების პერიოდი - 2025 წლის დეკემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა - ექსპერტთა ჯგუფის მიერ დოკუმენტაციის შესწავლა;
მონიტორინგის ფარგლები: მე-2 (დაწყებითი და საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) სტანდარტი.

- **მონიტორინგი ცენტრის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებისგანხილვით**

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა 2025 წლის დეკემბერში 3.4 კომპონენტთან მიმართებით, სახანძრო უსაფრთხოებისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის შესახებ დასკვნების წარმოდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

6. სსიპ- ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ვაშლოვანის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა

დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ლენა გომართელმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ- ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ვაშლოვანის საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 18 და 19 სექტემბერს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 180. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 180 მოსწავლისთვის.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამას სკოლა ახორციელებდა ორ მისამართზე, ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ვაშლოვანსა და ამავე მუნიციპალიტეტის სოფელ შურმულში.
ექსპერტმა, ლენა გომართელმა, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) სტანდარტი შეფასდა „მეტწილად“, ხოლო მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტი შეფასდა „ნაწილობრივი“ შესაბამისობით.
ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ, გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
ექსპერტმა წარმოადგინა სკოლის შენობების ამსახველი ფოტომასალა და აღნიშნა, რომ შექმნილი იყო კეთილმოწყობილი გარემო. სოფელ ზემო ვაშლოვანის შენობას ჰქონდა შიდა სპორტული დარბაზი და გარე სპორტული მოედანი, კომპიუტერული და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა, ექიმის ოთახი.
ექსპერტის თქმით, სამოქალაქო განათლების მიმართულებით სკოლა აქტიურად იყო ჩართული სხვადასხვა პროექტში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრი, ქეთევან ნატროშვილი, დაინტერესდა, რა დრო დასჭირდა სკოლას თავდაპირველად გამოვლენილი ხარვეზებიდან სრულ შესაბამისობაში გადასვლისთვის.
ექსპერტის, ლენა გომართელის, განმარტებით, დაწესებულებას ჰქონდა გარკვეული დოკუმენტაცია, თუმცა, ესაჭიროებოდა დახვეწა. მათ მოკლე დროში შეძლეს სრული დოკუმენტაციის წარმოდგენა.
სკოლის დირექტორმა, მარიკა აბულაძემ, აღნიშნა, რომ იყო ახლადარჩეული დირექტორი და ავტორიზაციის პროცესი იყო მისთვის დამხმარე პროცედურა და ყველა დოკუმენტი აწარმოეს სტანდარტთან და კანონმდებლობასთან თანხვედრით. მისი თქმით, აღნიშნულ პროცესში ჩართული იყო სასკოლო საზოგადოება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ- ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ვაშლოვანის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 180 - ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 17:45
დასრულების დრო - 17:51

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებისა და 27 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ- ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ვაშლოვანის საჯარო სკოლას (ს/კ: 248049062) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 180 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ხულოს მუნიციპალიტეტი, სოფელი ზემო ვაშლოვანი; ხულოს მუნიციპალიტეტი, სოფელი შურმული.
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ხულოს მუნიციპალიტეტი, სოფელი ზემო ვაშლოვანი
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ხულოს მუნიციპალიტეტი, სოფელი ზემო ვაშლოვანი

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებას თან დაკავშირებით:

- **მონიტორინგი ექსპერტთა ჯგუფის შექმნით:**

მონიტორინგის დაწყების პერიოდი - 2025 წლის დეკემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა - ექსპერტთა ჯგუფის მიერ დოკუმენტაციის შესწავლა;
მონიტორინგის ფარგლები: მე-2 (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) სტანდარტი.

- **მონიტორინგი ცენტრის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებისგანხილვით**

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა 2026 წლის დეკემბერში 3.1, 3.4 და 3.6 კომპონენტებთან მიმართებით, ნასამართლეობის, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობის, უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობების, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებლის აყვანის, საგანგებო სიტუაციების უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებული გეგმისა და ვებ-გვერდზე საჭირო ინფორმაციის განთავსების დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

7. სსიპ - თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ღულელების საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მაია ლაპიაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ღულელების საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 19 და 20 სექტემბერს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 300. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას არ ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას მატერიალურ-ტექნიკური და ადამიანური რესურსიდან გამომდინარე, შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 100 მოსწავლისთვის.
ექსპერტმა წარმოადგინა სკოლის ინფრასტრუქტურის ამსახველი ფოტომასალა და აღნიშნა, რომ სკოლას ჰქონდა გარე სპორტული მოედანი და შიდა სპორტული დარბაზი, ბიბლიოთეკა, ადაპტირებული სველი წერტილი, თუმცა, სკოლის შენობის პირველ სართულზე იყო დაობებული კედლები, რომლითაც საშიშროება ექმნებოდა ადამიანის ფიზიკურ უსაფრთხოებას. გარდა ამისა, ეზო იყო აბალახებული და მოუწესრიგებელი. ექსპერტის თქმით, მეორე სართულზე ასასვლელი კიბეები იყო საფრთხისშემცველი, დაუცველი იყო ასევე სკოლის უკანა ეზოც.
ექსპერტმა, მაია ლაპიაშვილმა, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია); მე-2

(სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტი შეფასდა „ნაწილობრივი“ შესაბამისობით.
ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ, გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია, დაინტერესდა, რამ განაპირობა, რომ დაწესებულება მოუმზადებელი შეხვდა ავტორიზაციის პროცესს და როგორ აპირებდა სამომავლოდ ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან გამოკვეთილი ხარვეზების აღმოფხვრას.
სკოლის დირექტორის, თინა ზარიძის, განმარტებით, სკოლას ესაჭიროებოდა სარემონტო სამუშაოები და ამ მიზნით, მიმართული ჰქონდა ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთვის და თიანეთის მუნიციპალიტეტის მერიისათვის. რაც შეეხებოდა ეზოს, სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ საავტორიზაციო ვიზიტის პერიოდამდე ორჯერ გათიბეს, თუმცა დაემთხვა წვიმიანი ამინდები და ამან განაპირობა მსგავსი ვითარება ეზოში.
მან აქვე, დასძინა, რომ სკოლა არ იყო ჩართული ახალი სკოლის მოდელში და ავტორიზაციამდე პერიოდში მასწავლებლებისთვის ბევრი საკითხი იყო ბუნდოვანი, შესაბამისად, გაურთულდათ დოკუმენტაციის წარმოება.
საბჭოს წევრი, ქეთევან ნატროშვილი, დაინტერესდა, რა ვითარება იყო ვებ-გვერდზე ინფორმაციის განთავსებასთან დაკავშირებით. აქვე, დაინტერესდა, რამდენი შენობა ჰქონდა სკოლას.
სკოლის დირექტორმა, თინა ზარიძემ, აღნიშნა, რომ სტრატეგიულ გეგმაზე მუშაობის დასრულების შემდგომ, შესაბამისობის გეგმით გაწერილ ვადებში, სრულად განათავსებდა ყველა საჭირო ინფორმაციას ვებ-გვერდზე. რაც შეეხებოდა, შენობებს, მან აღნიშნა, რომ სკოლის ბალანსზე ირიცხებოდა სამი შენობა, თუმცა ორი იყო გაურემონტებელი და იქ არ მიმდინარეობდა სასწავლო პროცესი, შესაბამისად, ავტორიზაციის გავლა სურდათ მხოლოდ ერთ შენობაზე, რომელიც მდებარეობდა თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ღულელებში.
საბჭოს წევრმა, ქეთევან ნატროშვილმა, სკოლის წარმომადგენელს მისცა რჩევა, მიემართა სსიპ -განათლების მართვის საინფორმაციო სისტემისთვის, ზემოაღნიშნული შენობების ბაზიდან ამოღებისთვის.
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, თამარ მამსიკაშვილი, დაინტერესდა, რა წარმოადგენდა აღნიშნული სკოლის ძლიერ მხარეს.
ექსპერტმა, მაია ლაპიაშვილმა, აღნიშნა, რომ სპორტის მიმართულებით სკოლას ჰქონდა მრავალი გამარჯვება, ჰქონდა რამდენიმე სპორტული წრე და იყო მოტივირებული გუნდი.
სკოლის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ძლიერ მხარეს წარმოადგენდა მოტივირებული გუნდი, სკოლის მოსწავლეები იყვნენ საქართველოს ჩემპიონები „ბადმინტონში“, ასევე, მოსწავლეები იმარჯვებდნენ სხვადასხვა საგნობრივ კონკურსში. მისი თქმით, ყოველ წელს ელოდნენ სარემონტო სამუშაოებს.
საბჭოს წევრმა, მაკა მამფორიამ, სკოლის წარმომადგენელს მისცა რჩევა, მხარდაჭერისა და განვითარების მიზნით, მომავალ წელს მიემართათ მასწავლებლის სახლისთვის.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, აღნიშნა, რომ სკოლას ესაჭიროებოდა მნიშვნელოვანი მხარდაჭერა.
საბჭოს მდივანმა, მანანა ჯინჭარაძემ, აღნიშნა, რომ მასწავლებელთა სახლს ჰყავდა დამხმარე ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო გამოეყენებინა მსგავსი მნიშვნელოვანი რესურსი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ღულელების საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 100 - ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 18:25
დასრულების დრო - 18:33

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებისა და 27 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ღულელების საჯარო სკოლას (ს/კ: 232387734) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 100 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	თიანეთის მუნიციპალიტეტი, სოფელ ღულელები.
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	თიანეთის მუნიციპალიტეტი, სოფელ ღულელები.
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	თიანეთის მუნიციპალიტეტი, სოფელ ღულელები.

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებას თან დაკავშირებით:

- **მონიტორინგი ექსპერტთა ჯგუფის შექმნით:**

მონიტორინგის დაწყების პერიოდი - 2026 წლის დეკემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა - ადგილზე ვიზიტი;
მონიტორინგის ფარგლები: 1-ელი, მე-2 (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები), მე-3 და მე-4 სტანდარტები.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდგომ, 18:35 საათზე საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
მალაზონია დავით



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჯინჭარაძე მანანა